საქართ. მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგ.

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000 მ. ნომპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 189, ტელეფონი 10—34.

ოთხშაბათი, ნოემბრის 29 1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. □ პროვინც. 5000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რუსთაველის თეატრი ●

სახელმწიფო აკადემიური დრამა

ხუთშაბათს 30 ნოემბერს

ალ. ყაზბეგი? ალ. შანშიაშვილი

**უბედური მეფენი**

დადგმა ა. ფაღავასი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

№ 165. 2—1

სახელმწიფო აკადემიური თეატრი

ოპერა

ხუთშაბათს 30 ნოემბერს

**პიკის ქალი**

დასაწყისი სრულ 8 ს. მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.
კასსა ღიაა 11—2 სა-მდე და საღამოს 6-დან წარმოდგენის დამთავრებამდე.
№ 166. 2—1

ოპერა

ოთხშაბათს 29 ნოემბერს

საქართველოს აკადემიური ოპერის საზეიმო სპექტაკლი დამსახურებული სახალხო მსახიობის

ალ. ივ. სუმბათაშვილი-იუჟინის

საპატივსაცემლოთ

**აბესალომ და ეთერი**

ბილეთები იყიდება. 1—1

ოთხშაბათს, ნოემბრის 29-ს საღამოს 7 საათზე

ალმასკომის ბინაზე შესდგება განათლების, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საფინანსო განყოფილების სექციების სხდომები.

ყველა ამხანაგები ჩაწერილნი აღნიშნულ სექციებში ვალდებულნი არიან გამოცხადნენ თავის დროზე.

181—2—2 მდივანი რ. ხუნდაძე.

# გერმანიის მუშები

გერმანიის მუშათა მოძრაობა იმ თავითვე სოციალ-დემოკრატიული პარტიის დროშის ქვეშ მიემართებოდა. თუ ინგლისში მუშათა მოძრაობის ნიადაგზე აღმოცენდა პოლიტიკური მიმართულებანი და პარტიები, გერმანიაში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ აიღო უპირატესად ინიციატივა მუშათა მოძრაობისა და პროფკავშირების უმეტესობა მის გავლენას დაუმორჩილა. ეს მოვლენა საბედისწერო გახდა გერმანიის მუშებისათვის.

მკითხველისათვის უცნობი არ არის ის დიდმნიშვნელოვანი როლი, რომელიც უკანასკნელ დროს შეასრულა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ რეაქციის გამაგრებისა და განმტკიცების საქმეში. კატეგორიული ფორმებში შეიძლება იმ დებულების წამოყენება, რომ თუ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ღალატი არა მუშათა კლასის მიმართ, დღეს კუნოს კაბინეტის ნაცვლად გერმანიაში წითელი დროშის ქვეშ მდგარი კაბინეტი იქნებოდა, აღმოცენებული მუშათა ნებისყოფის ნიადაგზე.

დღესაც, როდესაც კოალიციონური მთავრობითაც არ კმაყოფილდება ბურჟუაზია და საკუთარი განუყოფელი ბატონობის ბარიერს აღმართავს, დღესაც სოციალ-რეფორმისტებს იმედი აღფრთოვანებდა, რომ არ შედგებოდა გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობა, რადგან მას წინ ეღობებოდა ფინანსიური ხასიათის დაბრკოლებანი.

მუშებმა, როგორც რადიო გადმოგვცემს, ერთი დღის განმავლობაში შეაგროვეს სამი მეოთხედი მილიონი მარკა და ამით დასძლიეს ფინანსიური დაბრკოლება.

კონგრესი გაიხსნა კომინტერნის მისალმებით დეპეშით, რომელმაც დიდი ოვაციები გამოიწვია. ეს ფაქტი მრავალ მეტყველია. კონგრესმა გამოააშკარავა ისიც, რომ მუშებში სოც.-დემოკრატებს ეცლება ნიადაგი, რომ მუშები სტოვებენ პარტიას, რადგან მათ გაუცრუვდათ იმედები თავიანთ ხელმძღვანელებზედ. რადიო გადმოგვცემს, რომ მთელმა რიგმა დელეგატებმა (სოციალ-დემოკრატებმა) განაცხადეს, რომ ისინი აღშფოთებული არიან მათი ლიდერების ყოფა ქცევით და სურვილი აქვთ შევიდნენ კომუნისტურ პარტიაში.

დამოუკიდებელთა ფრაქციის წარმომადგენლებმაც ანალოგიური განცხადებით გამოვიდნენ და აღნიშნეს, რომ კონგრესზე მონაწილეობის შესახებ უარი განაცხადეს მათმა ლიდერებმა.

როგორც ვხედავთ ატმოსფერა მუშათა წრეებში თანდათან იწმინდება და სოციალ-რეფორმიზმის ადგილს იჭერს რევოლიუციონური სულისკვეთება. დღეს უკვე დელეგატ გროცეს სიტყვას ტაშის ცემით ეგებება გერმანიის მუშები, იმიტომ, რომ გროცე თავის სიტყვაში გმობს შემათანხმებელ პოლიტიკას ბურჟუაზიასთან.

ბლანდლერის მოხსენება გერმანიის მდგომარეობის შესახებ მისალმები ხდება კონგრესისათვის, რომლის მთავარი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალიზმი ირღვევა, ბურჟუაზია სუსტდება და იგი უკვე ველარ ენდობა ჯარს და პოლიციას და იძულებული ხდება საკუთარი რაზმები შექმნას, რომლის ტიპიური მაგალითია ფაშისტური ორგანიზაციები.

ფაბრიკა-ქარხნების კონგრესი თავის მიზნად ისახავს, რომ დარაზმოს მუშათა კლასი მთავრობის წინააღმდეგ და შექმნას კოალიცია მუშათა მთავრობის სასარგებლოდ.

კონგრესი მოითხოვს წარმოებაზე კონტროლის დაწესებას, 8 საათის სამუშაო დღეს, შრომის ხარჯის შემცირებას, მსოფლიო მუშათა კონგრესის მოწვევას, გერმანიის, რუსეთის, ავსტრიისა და ოსმალეთის კონფერენციის მოწვევას თავდაცვისათვის შეთანხმების მიზნით. და ვერსალის ხელშეკრულების გაუქმებას.

როგორც ვხედავთ კონგრესი რადიკალურ გზას ადგას და იგი შორს არის რეფორმისტული პოლიტიკისაგან. ფაბრიკა-ქარხნების კონგრესი უკვე რევიზიას უკეთებს გერმანიის მუშათა კლასის პოლიტიკისა, რომელიც სოციალ-დემოკრატიული ტრადიციის ტარებით საკმაოდ დაზარალდა. კონგრესის შემადგენლობა ამ მხრივ საინტერესო სურათს გვაძლევს სადაც 841 დელეგატში 657 დელეგატი კომუნისტია.

გერმანია ვერ იხსნა ბურჟუაზიამ. მისი ეკონომიური ცხოვრება განადგურებულია ვერსალის ხელშეკრულებამ. საფრანგეთის და მოკავშირეებისადმი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებამაც დასცა გერმანიის ცხოვრების ნორმალური პირობები. ბურჟუაზიისა და სოციალ-რეფორმისტთა კოალიციამ ვერ შესძლო გერმანიის ხალხის გამოყვანა იმ საბედისწერო ქაოსიდან, რომელშიაც იგი ჩაიგდო ომის შემდეგ, ამის გამოხატულების ფოკუსია გერმანული მარკის კურსი.

სოციალ-რეფორმისტებისაგან მოტყუებული მუშათა კლასი უკვე იწყებს გამოფხიზლებას. იგი უნდა გამოვიდეს გერმანიის პოლიტიკურ სარბიელზედ და მან უნდა იხსნას გერმანიის ხალხი და მისი კულტურა.

გერმანიის მუშათა კლასმა საკმაო გაკვეთილები მიიღო რეფორმისტებისაგან და ამიერიდან მაინც უნდა დაიმსხვრეს ის ტრადიცია, რომელთაც იმ თავითვე შეუკავშირდა გერმანიის მუშათა მოძრაობა სოციალ-დემოკრატიას.

კუნოს კაბინეტის ნაცვლად უნდა შესდგეს მუშათა კაბინეტი და მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი გერმანიის ხელახალი რენესანსის შესახებ.

ხერ. ამაღლობელი.

# ნარკვევი

**ინგლისის არჩევნების შედეგი.**

გაზ. „იზვესტიაში" ამხ. ი. სტეკლოვი ეხება ინგლისის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს, რომლის მოკლე შინაარსი შემდეგია:

თუმცა საბოლოო ხმები დათვლილი არ არის, მაგრამ მაინც შესაძლებელია ზოგიერთი დასკვნების გამოტანა არჩევნების შედეგებიდან.

წინა პარლამენტში გაბატონებული იყო ორი პარტია,—რომელნიც შეადგენდნენ კოალიციის საფუძველს: ისინი იყვნენ უნიონისტ-კონსერვატორები (371 დეპ.) და ლიბერალ უნიონისტები ე. ი. ლოიდ ჯორჯის პარტია (129 დეპ.); ამრიგად ქვედა პალატაში მთავრობის უმრავლესობა 66 პროც. შეადგენდა, რომლიდანაც მარტო კონსერვატორებს ჰყავდა აბსოლიუტური უმრავლესობა (52,4 პროც.) ეს პარტია იყო მეთაური პოლიტიკისა ის კარგა ხანს ითმენდა ლოიდ ჯორჯს, როგორც მთავრობის მეთაურს, თუმცა, როგორც ვხედავთ უკიდურეს შემთხვევაში უიმისოდაც შეეძლო მოდევნება. როდესაც ის დარწმუნდა, რომ ლოიდ ჯორჯის ბატონობამ შეამზადა ნიადაგი კონსერვატიული პარტიის აშკარა ბატონობისა, მან ძირს დასცა ლოიდ ჯორჯი, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ახალი არჩევნები, ყოველ შემთხვევისათვის არ დაასუსტებდა მის აბსოლიუტურ უმრავლესობას. პარტია ამასთან ითვალისწინებდა კონსერვატიულ და რეაქციულ განწყობილების ზრდას და კაპიტალის პოზიციის გამაგრებას, რომელიც შედეგი იყო ლიბერალების და „მუშათა პარტიის" პოლიტიკისა. ახალმა არჩევნებმა კონსერვატორებს მისცა 365 ადგილი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ახალ-თემთა პალატაში ადგილების რიცხვი შემოკლებულია, პროცენტული დამოკიდებულებით კონსერვატორებმა მიიგეს, რადგან მათ ახლა მთელი ადგილების 59,3 პროც. აქვთ. ამრიგად, კონსერვატორების ანგარიშები გამართლდა და ისინი ფრიად გაძლიერდნენ.

ყველა დანარჩენ პარტიებს აქვთ 40,7 პროც. ხმებისა: რომ ყველა დანარჩენი პარტიები ე. ი. ლიბერალ უნიონისტები, დამოკიდებული ლიბერალები და „მუშათა პარტია" ოპოზიციაში ჩადგნენ მთავრობას მაშინ, ეს ოპოზიცია შედარებით უფრო ძლიერი იქნებოდა, ვიდრე წინანდელი, სადაც ის 34 პროც. შეადგენდა. მაგრამ ჯერ კიდევ დიდი საკითხია, ჩადგებიან თუ არა ლიბერალ-უნიონისტები ლოიდ ჯორჯის მეთაურობით ოპოზიციაში.

წინად ამ პარტიას ქვედა პალატაში 129 ადგილი ქონდა ე. ი. 18,2 პროც. ეხლა კი 45 ადგილი ე. ი. სულ 7,5 პროც. ეს რასაკვირველია დიდი მარცხია ლოიდ-ჯორჯის პარტიისათვის. სამაგიეროდ დამოუკიდებელი ლიბერალების პარტიამ გააძლიერა თავისი დეპუტატების რიცხვი: წინა პალატაში მას ქონდა 34 ადგილი, ე. ი. 5 პროც., ეხლა კი აქვს 59 ადგილი ე. ი. 5,9 პროც.

მაგრამ მთავარი გამარჯვებული ოპოზიციის პარტიებში არის „მუშათა პარტია". მას რომ დამარცხებული ქონდეს თავისი სახელწოდება, მას შეეძლო დიდი როლის შესრულება დიდი წინააღმდეგობის გაწევა კაპიტალის გაძლიერებულ შემოტევასთან და შექმნა პროლეტარული კონტრ შეტევის ბაზისა. მაგრამ ჩვენ ვერ ვამყარებთ დიდ იმედებს მათ პოლიტიკურ მომწიფებაზე და რევოლიუციონურ როლზე. აქ ჩვენ ვხედავთ ისევ ძველებურ პროფესიონალურ და პოლიტიკურ მუშათა ბიუროკრატიას. კომუნისტები ამ მუშათა დელეგაციაში ერთ მუჭას შეადგენენ. მართალია, თვით ფაქტი ბრიტანეთის თემთა პალატაში კომუნისტების წარმომადგენლის შესვლისა უდიდეს ისტორიული მნიშვნელობის ფაქტს შეადგენს, მაგრამ ეს ჯგუფი იმდენად მცირერიცხოვანია, რომ მას არ შეუძლია თავის ბეჭედი დაასვას „მუშათა პარტიის" მოქმედებას პარლამენტში.

მიუხედავად ამისა ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ მუშათა მასების განწყობილებას, რომელთაც ეს დეპუტატები პარლამენტში გაგზავნეს. კაპიტალის შემტევმა საკმაოდ იმოქმედა ბრიტანიის მუშათა მასებზე, მსხვილი კაპიტალის შემოტევები, უნდა ვიფიქროთ, კიდევ უფრო გაამწვავებენ მომავალში კლასიურ ბრძოლას და გამოიწვევენ მუშებში აქტიური წინააღმდეგობის მისწრაფებას. კლასიური ბრძოლის გამწვავება იძულებულს გახდის „მუშათა პარტია" დაადგეს გადამწყვეტი ბრძოლის გზაზე ანდა დასცალოს ადგილი სხვა ხალხისათვის, რომელნიც ეცდებიან დაიცვან პროლეტარიატის ინტერესები გამარჯვებული ბურჟუაზიის შემოტევისაგან.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**„მენშევიკების პოლიტიკა"** მარტოვის „სოციალისტური უწყება" ეხება ვრცელ რეზოლიუციას, რომელიც მიღებულ იქნა რ. ს. დ. მ. პ. (მენშევიკები) ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ. ამ რეზოლიუციით სჩანს, რომ მენშევიკები მიზნად ისახავენ ორ ფრონტზედ ბრძოლას. პირველი ფრონტია—„კომუნისტური დიქტატურის" წინააღმდეგ, მეორე „თეთრგვარდიელთა საშიშროების" წინააღმდეგ. ეს პოზიცია გასაგებია მენშევიკებისაგან, მაგრამ გაუგებარია, რომ მენშევიკები თუ „კომუნისტური დიქტატურის" წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს ასახელებენ, თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ ისინი ვერ მიგვითითებენ ბრძოლის მეთოდებზედ. გაზეთი „Накануне" აღნიშნავს, რომ თუ მათ მართლაც აშინებთ „თეთრგვარდიელთა საშიშროება" კომუნისტებთან უნდა დაახლოვდნენ და ისევ რადიკალურ დიქტატურას, რადგან მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი რეაქციონური დიქტატურის თავიდან აცილება.

**ამერიკის „მეთვალყურე" ლოზანაში.** ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით, ამერიკის მთავრობა ლოზანის კონფერენციაზე ნიშნავს არა ოფიციალურ „მეთვალყურეს", თუმცა უკანასკნელი გადაწყვეტილება მიღებულ იქნება კონფერენციის მოწვევის დროს გამორკვევისას. კონფერენციით გადაწყდება ამერიკაც მისცემს საშუალებას, რომ თავის მეთვალყურეს მისცეს სათანადო ინსტრუქციები: მეთვალყურეებთან დანიშნულ უნდა იქნენ, როგორც განზრახულია, გრევი და ადმირალი ბრისტოლი.

**მოკავშირეთა მთლიანი ფრონტი.** პუანკარემ მიიღო კერზონის მემორანდუმი აღმოსავლეთის საკითხის ირგვლივ, რომელშიაც ჩამოთვლილია ყველა მუხლები, რომლითაც ინგლისს სურს შეთანხმებას მიაღწიოს საფრანგეთთან ლოზანის კონფერენციის გახსნამდე. პარიზის პოლიტიკურ წრეებში იმედი არის, რომ კერზონსა და პუანკარეს შორის მოხდება შეთანხმება. „ტაიმსის" აზრით, უკანასკნელი მოლაპარაკებანი ინგლის-საფრანგეთს შორის მოწმობენ რომ შესაძლებელია დიდი რეზულტატის მიღება. საფრანგეთის მთავრობა მზად არის სხვა მოკავშირეებთან ერთად ეწინააღმდეგოს ოსმალებს მუდანიის კონფერენციის დადგენილებათა დარღვევის გამო.

**მუსოლინი რეალურ პოლიტიკის შესახებ რუსეთის საკითხში.** თავის საპროგრამო სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა მუსოლინიმ პარლამენტში, აღნიშნა შემდეგი: „რუსეთის შესახებ იტალია ფიქრობს, რომ დადგა დრო, როდესაც უნდა ავწონოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ ქვეყანასთან რეალურ ინტერესების თვალსაზრისით, დამოუკიდებლად მათი შინაური საქმეებისა, რომლებშიაც ჩვენ არ ვერევით, ამიტომ ჩვენ მზად ვართ შევისწავლოთ შესაძლებლობა საბოლოო გადაწყვეტისა საკითხის ლოზანაში რუსეთის მონაწილეობის შესახებ. იტალიამ მხარი დაუჭირა ყველაზედ უფრო ლიბერალურ თეზისს და არ კარგავს იმედს მისი გამარჯვების შესახებ, თუმცა ჯერ-ჯერობით რუსეთი მოწვეული არის მხოლოდ სრუტების საკითხზედ.

**ეგვიპტის დამოუკიდებლობის მოთხოვნა.** ეგვიპტის ნაციონალისტების პარტიამ, რომელიც სდგას ზაგლულ-ფაშის პარტიის მარცხნით, გაგზავნა შვეიცარიაში დელეგაცია, რომელსაც დაავალა მოთხოვნა ეგვიპტის დამოუკიდებლობის ცნობისა. პარტიამ შეიმუშავა პროგრამა, რომელსაც დაარქვა ოსმალეთის მსგავსად „ნაციონალურ ხელშეკრულებად"; წამოყენებულია შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) ცნობა ეგვიპტის აბსოლიუტური დამოუკიდებლობისა და შეწყვეტა უცხო სახელმწიფოების ჩარევისა მის შინაურს საქმეებში, 2) დაუყოვნებლივი და სრული ევაკუაცია ეგვიპტისა ბრიტანეთის ჯარებისაგან. 3) შეწყვეტა ყოველგვარ მოლაპარაკებისა ინგლისთან ეგვიპტის საკითხის შესახებ, რადგან ეგვიპტის სუვერენიტეტი უდავოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლოზანას კონფერენცია

მოსკოვი. 28 ნოემბ. ლოზანში მივიდნენ ნავთის საზოგადოებათა „სტანდარტ ოილ“-ის და „როიალ დეიჩ“-ის წარმომადგენლები. ამტკიცებენ, რომ ამერიკა აწარმოებს მოლაპარაკებას ანგორის მთავრობასთან მოსულის ნავთის და რკინის გზების კონცესიების შესახებ.

ლოზანას კონფერენციის გადაწყვეტილებით დასავლეთ-ფრაკია რჩება საბერძნეთის ხელში.

— პირველ სხდომაზე ფორმალურ სიტყვების შემდეგ კონფერენციამ გამოჰყო სამი კომისია. კომისიების თავმჯდომარეებად დანიშნული არიან ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის დელეგატები. ოსმალეთის დელეგაციამ გამოსთქვა პროტესტი კონფერენციაზე, მონაწილეობაში რუსეთის დაუშვებლობის წინაამდეგ და მოითხოვა ერთ-ერთი კამისიის თავმჯდომარედ ოსმალეთის დელეგატის დანიშვნა. კონფერენციამ შესაძლებლად სცნო მიეცეს ოსმალეთის დელეგატს თავმჯდომარის ადგილი მხოლოდ ერთ ქვე-კომისიაში და მიუთითა იმაზე, რომ კომისიების თავმჯდომარეობა შეუძლიათ მხოლოდ მომწვევ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს.

— ლოზანას კონფერენციის გახსნის დღეს 50 ინგლისის აეროპლანი მთელი დღის განმავლობაში დაფრინავდენ სტამბოლზე. ლოზანაში გაიმართა რუმინიის, ბოლგარეთის და საბერძნეთის დელეგატიების თათბირი.

თათბირმა აუცილებლად სცნო ბალკანეთის სახელმწიფოთა ერთიანი ფრონტის შექმნა ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციაზე.

# უცხოეთი

**თემთა პალატის გახსნა.**

კროიდონი. 24 ნოემბერი. მეფემ თავისი მეუღლის თანადასწრებით გახსნა ახალი თემთა პალატის პირველი სესია. შეეხო რა ირლანდიის საკითხს მეფემ სადარბაზო სიტყვაში აღნიშნა, რომ ვაჭრობისა და მოსამსახურეთა მიმართ მთავრობა ამზადებს ღონისძიებებს ამ საქმის გასამჯობესებლად და ბრიტანიის კომერციულ ურთიერთობათა გასაფართოებლად. ამასთან დაკავშირებულია საკითხი ავსტრიისათვის სესხის მიცემის შესახებ და ახლო აღმოსავლეთის ბრძოლების გადაწყვეტა. ლოზანას კონფერენციის შესახებ მეფემ სთქვა: „მოლაპარაკება ახლო აღმოსავლეთში შექმნილ სიძნელის გადასაჭრელად დაიწყო და მე იმედი მაქვს, რომ ლოზანას კონფერენციაზე ჩემი მინისტრების ცდა, რომელნიც მოქმედებენ სრულის შეთანხმებით მოკავშირეთა წარმომადგენლებთან, ნაყოფს გამოიღებს და მიხწეულ იქნება მშვიდობიანობა და კეთილ-დღეობა იმ რაიონების მცხოვრებთათვის, რომელთაც ამ ახლო წარსულში განიცადეს დიდი უბედურება“. სადარბაზო სიტყვის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ყველა პარტიების ორატორებმა. განსაკუთრებით ბევრი ილაპარაკეს უმუშევართა საკითხის შესახებ. მუშათა პარტიის ლიდერი რამზეი მაკდონალდი ლაპარაკობდა ისეთი კანონმდებლობის აუცილებლობის შესახებ, რომელიც განამტკიცებდა ირლანდიის კონსტიტუციას. მუშათა პარტია ვერ დასდებს პირობას, რომ სახელმწიფოში დაცული იქნება მშვიდობიანობა, მაგრამ გააკეთებს ყოველივე შესაძლებელს, რათა დაეხმაროს თემთა პალატას და მთავრობას დასახულ მიზნის მიხწევა. მუშათა პარტია დაეხმარება მთავრობას ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გაუმჯობესებაში და ირლანდიისათვის ახალ და სასარგებლო პირობების შექმნაში, მან აღნიშნა, რომ ახალი პრემიერი თავის დროზე დიდი მოწინააღმდეგე იყო ირლანდიის ეგრედ წოდებულ „გამოყოფისა“.

ბონარ ლოუმ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მან იცის თემთა პალატაში ორი უძლიერესი ოპოზიციის არსებობის შესახებ, მაგრამ მას იმედი აქვს, რომ დროთა განმავლობაში შესძლებს ამ ორი მიმდინარეობის შეთანხმებას ერთი მეორესთან. ირლანდიის შესახებ პრემიერმა მიუთითა, რომ მთავრობას არ გადაუდგამს არავითარი ნაბიჯი, რომელიც მოწმობდეს, რომ მან უარყო თავისი წინანდელი შეხედულება ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულებაზე.

არ არის არავითარი საფუძველი ირლანდიის ან ინგლისის გაფრთხილებისათვის, რადგან მათი ინტერესები ერთი და იგივეა: ორივე სახელმწიფოებმა თანხმობით უნდა იცხოვრონ. ლოზანას კონფერენციის შესახებ ბონარ ლოუმ განაცხადა: „ჩვენი ერთად ერთი მიზანია— მივაღწიოთ ზავს, და ალბად, ჩვენ მას მივაღწევთ კიდეც, თუ მოვიხმართ ყველა შესაძლო საშუალებებს და ვიმოქმედებთ მოკავშირეებთან სრულის შეთანხმებით“. შემდეგ ილაპარაკა ასკვიტმა. ის უწონებს პრემიერს მის მიერ დაჭერილ პოზიციას.

ასკვიტმა გამოსთქვა აზრი, რომ ირლანდიასთან დადებულ ხელშეკრულებით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მის შეკავშირებას ინგლისთან. ეხლა ირლანდია თითონვეა თავის მოქმედებისათვის პასუხისმგებელი.

# რუსეთი

**პოლიტიკური განათლების მთავარ გამგეობის ხრულიად რუსეთის ყრილობა**

მოსკოვი 28 ნოემბ. პოლიტიკური განათლების მთავარი განყოფილებათა სრულიად რუსეთის მესამე ყრილობაზე ლუნაჩარსკიმ მიუთითა ახალ ინტელიგენციის წარმოშობაზე, რომელიც სცვლის ძველს, ეხლა სკოლაში კლასობრივი მიდგომისა და მუშათა ფაკულტეტების მუშაობის საშუალებით.

ბუხარინმა აღნიშნა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის ილიუზიები იდეოლოგიის სფეროში სავსებით გამარცხებულია.

კრუპსკაიამ ხაზი გაუსვა პოლიტიკურ განათლების მთავარ განყოფილების შემდეგ ამოცანებს: პარტიულ და საბჭოთა მუშაკების მომზადება, საბჭოთა პარტიულ სკოლების აპარატის გაუმჯობესება, პოლიტიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია და წარმოების ცოდნის გაღრმავება.

**საბჭოთა მართლმსაჯულება**

მოსკოვი 28 ნოემბ. სამი დღის გარჩევის შემდეგ უმაღლესმა ტრიბუნალმა დაამთავრა საქმე საფრანგეთის სამსახურში მყოფ ლეიტენანტ სადულის, რომელმაც გახსნა მოსკოვში კომერციული კანტორა და აწვდიდა საფრანგეთის წარმომადგენლებს სტამბოლში ცნობებს წითელი არმიისა და ამიერ-კავკასიის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. სადულის მიუსაჯეს სამი წლის ციხე.

— სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის პრეზიდიუმმა დასტოვა ძალაში განაჩენი „ორეხოვო ზუევის“ ტრესტში მომხდარ ბოროტმოქმედების შესახებ: ამავე დროს სიმონოვს, ჩლენოვს და კონდრატოვიჩს უმაღლესი სასჯელი შეუცვალეს ათი წლის ციხით.

**დამშეულთა დამხმარე უცხოეთის ორგანიზაციები.**

მოსკოვი 28 ნოემბერი. რუსეთ ამერიკის ადმინისტრაცია ნოემბერში გასცემს ბავშვებზე და ავადმყოფებზე 950 ათასს ულუფას. იანვრის განმავლობაში მის მიერ გაცემული იქნება 2 მილიონი ულუფა.

ნანსენის ორგანიზაცია პირველ იანვრამდე ასტრახანის იქნება 424 000 კაცს თვეში, განსაკუთრებით ბავშვებს.

კვაკერებს განზრახვა აქვთ ყოველთვიურად თავის ხარჯზე შეინახონ 200 ათასი კაცი და მისცენ გლეხებს 1000 ცხენი და 10 ტრაქტორი. კათოლიკები ყოველთვიურად დახმარებას აღმოუჩენენ 50.000 კაცს, განსაკუთრებით ბავშვებს.

ამერიკულ ებრაელების კომიტეტმა პირველ ნოემბრიდან უკვე შეიტანა 3 მილიონი სასურსათო ულუფის განაწილებას. მოზრდილთათვის სასურსათო ამანათების გამოსაგზავნად გადიდებულია 275.000 დოლარი, ბავშვთა დაწესებულებებისათვის დამატებით 400 ათასი დოლარი.

**ვაჭრობა აღმოსავლეთთან**

მოსკოვი 28 ნოემ. ხწარმოებს წინასწარი მუშაობა შუა აზიის და რუსეთ მონღოლეთის ბანკების ორგანიზაციისათვის აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობის გასაფართოებლად.

**მიწის საკითხის გამო ფედერალურ კომიტეტის სესია.**

მოსკოვი. გაიხსნა მიწის საკითხის შესახებ ფედერალურ კომიტეტის სესია. ეროვნებათა სახალხო კომისარიატში. განხილულ იქნა ფედერალურ კომიტეტის დებულებათა პროექტი. საიდ-გალიევის მოხსენების შემდეგ ერთხმად, მიწადმოქმედების კომისარიატის წარმომადგენლის ხმის წინააღმდეგ, მიღებულ იქნა ეროვნებათა სახალხო კომისარიატების პროექტი. ამ პროექტით, ფედერალურ კომიტეტის ძირითად მიზანს შეადგენს მიწის საკითხში ფედერაციის ცალკე ნაწილების მიწად-მოქმედების კომისარიატთა მოქმედების შეთანხმება როგორც ერთმანეთთან ისე მთელი ფედერაციის საერთო ეკონომიურ გეგმასთან.

**შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა.**

მოსკოვი. 25 ნოემბ. გარეშე საქმეთა კომისარმა ცირკულიარულად აცნობა ყველა სრულ უფლებიან წარმომადგენლებს შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის რ. ს. ფ. ს. რ. შეერთების შესახებ, რომელიც იქნება შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის ინტერესების დამცველი საერთაშორისო უფლებრივ დამოკიდებულებებში.

# ახალი ამბები

— განათლების მუშათა სახლში. 30 ნოემბერს საღამოს 5 საათზე განათლების მუშათა სახლში (კოლოუბნის ქ. № 3) ამხ. დანოვსკი გააკეთებს მოხსენებას. თემა: „გალობის საკითხი შრომის სკოლებში“.

## სამხატვრო ქრონიკა

— რუსთაველის თეატრი. ხუთშაბათს, ნოემბრის 30-ს განმეორებული იქნება ალ. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“ დადგმა აკაკი ფალავასი.

— ჟურ. „ილიონი“ სამშაბათს ნოემბრის 28-ს სახ. კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ფრიდრიხ ნიცშეს საღამოს.

სიტყვები: 1) „ტრაგედიის წარმოშვება მისტიკის სულიდან“ კონსტანტინე გამსახურდია.

2) ფრიდრიხ ნიცშე ირაკლი ტატიშვილი, 3) ადგილებს ზარატუსტრიდან წაიკითხავენ: არ. ჯუმბაძე, კ. გამსახურდია, დემნა შენგელაია, მიხ. ბოჭორიშვილი, ტერენტი გრანელი.

4) ნიცშეს ლექსებს: ს. ფაშალიშვილი ტერ. გრანელი, დემნა შენგელაია, კ. გამსახურდია, საღამოს თავმჯდომარე პროფ. დ. უზნაძე, ბილეთების ფასები 100—20 ათასამდის, საღამოს მომწყობი ილიონის რედაქცია.

## პროვინციის ცხოვრება

რაჭის მაზრა. აღმასკომის ინიციატივით ადგილობრივმა კომუნალურმა მეურნეობამ შეუდგა ჰიდროელექტრონული სადგურის შენებას. საჭირო მასალები უკვე მოტანილია ადგილზე. ამ დღეებში შეუდგებიან დადგმას.

ხარის თვალაში დაარსდა ხე-ტყის მხერხავი ქარხანა. ქარხანამ უკვე დაიწყო მუშაობა.

სწარმოებს გზების შეკეთება. გაჰყავთ ახალი გზებიც. ნაქერალის გზის გარდა შეუდგენ ასეთივე გზის გაყვანას სხლავალის მიმართულებით.

გლეხების სულიერი განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი სიმპატიურია ისინი პირველად ხედავენ გაცხოველებულ მუშაობას მაზრაში, რომელიც აქამდე ყველასაგან მიტოვებული იყო. საერთო ეკონომიური აღორძინება გლეხებს არწმუნებს, რომ საბჭოთა მთავრობა მუშაობს მათთვის.

ბათომი. კომისიის მუშაობით, რომელსაც ენერგიული დახმარება გაუწია კომუნალურმა მეურნეობამ მოეწყო დიდი შენობა უპატრონო ბავშვთა თავშესაფრად. კომისართა საბჭომ გადადო 150 მილიონი მანეთი თავშესაფარის მოსაწყობად. შეწირულება გაიღო საბჭოთა სხვა დაწესებულებებმაც. ამ დღეებში ქუჩებში მყოფი ბავშვები გადაყვანილ იქნება თავშესაფარში.

# მთავარი კომიტეტის გაფართოებული სხდომა

შაბათს, 2 დეკემბერს, შესდგება საქართველოს [illegible] მთავარი კომიტეტის გაფართოებული სხდომა.

მთავარი კომიტეტის გაფართოებული სხდომა.

სხდომაზე თითო წარმომადგენლის გამოგზავნის უფლება ეძლევა შემდეგ ორგანიზაციებს — ტფილისის, ქუთაისის, ბათომის, ფოთის, ზუგდიდის, სენაკის, სამტრედიის, ჭიათურის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, გორის, თელავის, სიღნაღის, ახალციხის, ახალქალაქის; ბორჯომის. ცენტრთან სხდომაში მონაწილეობის უფლება ეძლევა ახალგაზრდათა კავშირის პრეზიდიუმს.

**სხდომის პროგრამა:**

1. მიმდინარე და ტაქტიკა—მომხსენებელი ამხ. თ. ღლონტი.
2. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი—მომხსენებელი ამხ. ხიმ. ხუნდაძე.
3. პარტიული მუშაობა—მომხსენებელი ამხ. ჰ. ჭანიშვილი.
4. მიმდინარე საკითხები.

სხდომა გაიხსნება საღამოს 5 საათზე „ტრიბუნა“-ს რედაქციაში. სხდომა არავითარ შემთხვევაში არ გადაიდება, რისთვისაც ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები წარმომადგენლების გამოსაგზავნად.

მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე თ. ღლონტი.

მდივანი: ხურ. ამაღლობელი.

# ადვოკატურა და ეთიკა*)

(წერილი მეორე).

პირველ წერილში დასმული საკითხის შესახებ იურიდიულ ლიტერატურაში მიიმართება ორი თეორიული ხაზი.

პირველი თეორია მიდის შემდეგი სახელწოდებით: „თეორია ზნეობრივი გარკვევისა“.

მეორე:—„თეორია კანონიერი ზომიერებისა“.

აღნიშნულ ორს თეორეტიულ მიმდინარეობაში მეტი პოპულიარიზაცია აქვს პირველს.

ზნეობრივი გარკვევის თეორია თავისი ხანგრძლივი არსებობით იმ ხირება კლასიკური სიძველის მწერალი ქვინტილიანის ნაწერებიდან, რომლის გავლენა ფართოდ გაიმართა საფრანგეთის ძველი ლიტერატურის ავტორებში.

პიერ და ფონტენი, ბუტილიე და ჩუსიანი თავისი წიგნით—„ადვოკატები“—სავსეთ აღნიშნული ცნობის დასადასტურებლად.

პირველი თეორიის გზით მიდიან ახანდროფული, ახალი საფრანგეთის მოღვაწე იურისტები:—მოლო, კრესონი და სხვ. აგრეთვე ბელგიელი დიუშენი, გოტაელი ცანარდელი, ავსტრიელი პრიბლი და სხვ.

რუსეთის სინამდვილეში პირველი თეორიის ნიადაგზე დგანან მძიმე ფიგურები: არსენიევი, თავისი წიგნით—„შენიშვნები რუსული ადვოკატურის შესახებ“, ჯანშიევი—„უმართლო საქმეების წარმოება“, პლატონოვი—„რუსული ადვოკატურის შესახებ“ და სხვ.

როგორია პირველი თეორიის კატეგორიული მოთხოვნის ფორმულა?

ამ კითხვაზე პასუხის მოცემა შეიძლება მოკლედ: „თუ კლიენტის მოთხოვნა, ან თვით საქმის შინაგანი თვისება დაკავშირებულია უზნეობასთან, თუ საქმე თავის წარმოებითი სფეროში აზარალებს ნორმებს და სიმართლეს, იმ შემთხვევაში ვექილი ვალდებულია საქმის მიღებაზე უარი უთხრას კლიენტს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მოხდეს უსაფუძვლო შეურაცხყოფა სიმართლისთან და ამ შებრძოლების ფაქტიური მწარმოებელი—ვექილის ღირსება უნდა დაზარალდეს“.

ამ საკითხის შესახებ არსენიევს ხსენებულ წიგნში შემდეგი აზრი აქვს: „სასამართლო, რომელიც ადგენს განაჩენს კანონის აზრით, ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ კანონით მაშინაც როდესაც თვით ეს ხელმძღვანელობა არღვევს სიმართლეს, პეშმარიტებას; მაგრამ ვექილი, რომელიც მეტი სიახლოვით დაკავშირებულია საქმის ვითარებასთან, იცნობს ხმარეების ჭეშმარიტობას, რომელიც არავითარ არ არის შებოჭილი საქმის მიღება არ მიღების პროცესში, თავისი უარით უნდა და უსამართლო საქმის მიღებაზე ხელს შეუწყობს სიმართლესა და კანონ შორის სამწუხარო შეტაკებას რომლებიც მის შემცირებას“.

აი ამ აზრის ენათესავება პალატინსკის აზრიც მხოლოდ სამოქალაქო საქმეების მიმართ, „სადაც ავტორის სიტყვით: უფრო ხშირია შებრძოლება სიმართლესა და კანონს შორის“.

როგორია მეორე თეორიის ფორმულა?

ის სრულიად ეწინააღმდეგება პირველს.

„ვექილმა არ უნდა უთხრას უარი არც ზნეობრივად უმართლო და არც იურიდიულად უიმედო მოთხოვნებს თავისი კლიენტებისა.“

ბენტამი თავის წიგნში „სასამართლოს მოწყობა“ შემდეგს გვეუბნება: „ვექილი მსაჯული არ არის, მისი ვალდებულება არის საგანია საქმის ერთი მხარის განვითარება, დამტკიცება და არა გამორკვევა მის სიმართლისა და უმართლობისა. ამიტომ, თუ მოსამართლისათვის კანონი სიმართლეზე მაღლა დგას, ვექილისათვის ეს მით უმეტეს სავალდებულოა. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ძალიან ხშირ შემთხვევებში ვექილს არ შეუძლია დარწმუნებით სთქვას მართალია მისი კლიენტი, თუ არა... ვექილის პირდაპირი დანიშნულებაა ხან მართალი და ხან უმართლო მხარის დაცვა, რადგანაც სიმართლის გამოსარკვევად სასამართლოში საჭიროა მხარეების შებრძოლება და ყველა იმ საბუთების მოხმარება, რომლების აღმოჩენაც შესაძლებელია“.

ამავე საგანზე სწერს პიკარი თავის ბროშურაში—„პარადოქსი ადვოკატებზე.“

ამავე თეორიას იცავს ვლადიმიროვი თავის წიგნში: „სახელმძღვანელო სისხლის სამართლის საქმეების დაცვისათვის“ და ფოინიცკი—„დაცვა სისხლის სამართლის პროცესში.“

აი, ორი ურთი-მეორის დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულება იურიდიულ ლიტერატურაში და ის ავტორები, რომლებიც ამაგრებენ, როგორც პირველი ფორმულის, ისე მეორის ნიადაგს.

რომელია უფრო სწორი და მისაღები, როგორც სახელმძღვანელო საზომი?

ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს მივცემთ, ლოღიკური აუცილებლობა გვავალებს გავარკვიოთ ვექილის მოვალეობა და მისი მოღვაწეობის მიზანი.

ჩვენთვის არ არის უცნობი ერთი შაბლონით გაღვივებული აზრი, განვითარებული საზოგადოებრივი ცხოვრებაზე ხანგრძლივი ბინადრობით.

ეს აზრი ასეთია: „ვექილი სასამართლოში—ეს დაქირავებული მოადგილეა კერძო სუბიექტისა“. რასაკვირველია ეს შეხედულება ყალბია და უსწოროა. იურიდიულ მეცნიერებაში უფრო მეტი ჯანით და ენერგიით მოიხმარება მეორე აზრი, რომელიც ვექილში ხედავს საზოგადოებრივი ინტერესების დამცველს.

*) იხ. „ტრიბუნა“ № 353.

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დადგენილება № 58

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალ. კომისართა საბჭოსი.

მუშათა სახლებიდან იმ პირთა გამოსახლების შესახებ, რომელნიც პროფეს. კავშირის წევრებად არ არიან.

საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გამოსახლება მუშათა სახლებიდან იმ პირებისა, რომელნიც პროფესიონალური კავშირის წევრებად არ არიან, მოხდება ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილების დადგენილებით სათანადო კავშირის განცხადების თანახმად.

შენიშვნა: გამოსახლების შესახებ შეტანილ განცხადებაში კავშირმა უნდა აღნიშნოს გამოსახლებულ პირის სოციალური მდგომარეობა, მისი ოჯახის წევრთა რიცხვი, ოთახების რაოდენობა და ხივრცე.

2. კავშირის განცხადება გამოსახლების შესახებ კომუნალურმა განყოფილებამ უნდა განიხილოს სამი დღის განმავლობაში განცხადების მიღებიდან.

3. გამოსასახლებელს ეძლევა 1 თვის ვადა ახალი ბინის მოსიძებნად. ეს ვადა იწყება იმ დღიდან, როცა მას გადაეცემა კომუნალური განყოფილების უწყება გამოსახლების შესახებ.

4. მესამე მუხლში აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ის, ვინც ხებაყოფლობით არ დასცლის სადგომს, ადმინისტრატიული წესით უნდა იქნეს გამოსახლებული.

5. მუშათა სახლებში ჩასახლებულ კავშირსს წევრთა მიერ გასანთავისუფლებელი ბინები და ოთახები, სამის დღის წინ განთავისუფლებამდე, გადაეცემა საბინაო სექციას საადნუსხოდ და, ფაქტიური განთავისუფლების შემდეგ კი,—გამოსაყენებლად.

6. მუშათა სახლებში განთავისუფლებული ოთახები და ბინები უნდა დაიბექდოს საბინაო სექციის ბეჭდით და გადაიცეს სათანადო პროფესიონალური კავშირის განკარგულებაში.

7. კავშირი სამი დღის განმავლობაში მოვალეა გამოიყენოს გადაცემული სადგომი და ჩაასახლოს თავისი წევრები საბინაო სექციის ორდერით.

8. უკე თუ კავშირი სამი დღის განმავლობაში არ გამოიყენებს განთავისუფლებულ ოთახებს, იგი გადადის საბინაო სექციის განკარგულებაში, რომელმაც უნდა გამოიყენოს ეს ოთახები და მხოლოდ პროფესიონალური კავშირის წევრები ჩაასახლოს.

9. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართ. სოც. საბჭ. რეს. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. ნოემბრის 25.

### დადგენილება № 60

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სავაჭრო-სამრეწველო სადგომების ქირის გადასახადის გადიდების შესახებ.

ადგილობრივი გადასახადების შესახებ 1922 წლ. თებერვლის 5 თარიღით გამოცემული დებულების 64 მუხლის შესაცვლელად და შესავსებად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მაზრებში ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების სასარგებლოდ სავაჭრო-სამრეწველო სადგომების ქირაზე არსებული 2 პროცენტიანი გადასახადი გადიდებულ იქნეს 5 პროცენტამდე.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

მ. ორახელაშვილი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. ნოემბ. 25.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, სცნობს, რომ „შევარდენისა", „სკაუტისა" და „სოკოლის" სასპორტო საზოგადოებათა მოღვაწეობა არ შეესაბამება საბჭოთა სახელმწიფოს მიზანსა და მისწრაფებას, ადგენს:

საზოგადოებანი „შევარდენი", „სკაუტი" და „სოკოლი" დაშლილ იქნეს ყველგან საქართველოში.

2. მოწყობილ იქნეს,—საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ცენტრალურ კომიტეტთან და ყველა ადგილობრივ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობით,—საზოგადოება „სპარტაკი".

საზოგადოება „სპარტაკის" ორგანიზაციისა და მთლად მისი მუშაობისა, აგრეთვე ყველა მისი განყოფილების მუშაობისათვის ადგილობრივ, სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს „სპარტაკის" პროგრამის დროებითი წესდება, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტის მიერ.

3. „შევარდენისა", „სკაუტისა" და „სოკოლის" საზოგადოებათა მთელი ქონება, აგრეთვე ყოველი სადგომი, რომელიც მათ ხელშია, გადადის „სპარტაკის" საზოგადოების სარგებლობაში.

4. „შევარდენისა", „სკაუტისა" და „სოკოლის" საზოგადოებათა ლიკვიდაციისათვის მოწყობილ იქნეს: ცენტრალური კომისია,—რომელშიაც შევიდნენ: საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. საყოველთაო სამხედრო სწავლების უფროსი, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი, განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი და სათათბირო ხმით,—„შევარდენისა", „სკაუტისა" და „სოკოლის" საზოგადოებათა წარმომადგენლები; ...ლო ადგილობრივ სამაზრო კომისიები, რომელშიაც შევიდნენ საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის სამაზრო კომიტეტის მდივანი, სამაზრო სამხედრო კომისარი, სამაზრო პროფესიონალური ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი, სახალხო განათლების წარმომადგენელი და—სათათბირო ხმით,—„შევარდენისა", „სკაუტსა" და „სოკოლის" ადგილობრივ განყოფილებათა ხელმძღვანელნი.

5. „შევარდენისა", „სკაუტისა" და „სოკოლის" საზოგადოებათა ყველა წევრს ასაკით 14 წლამდე—შეუძლიან დარჩეს „სპარტაკის" საზოგადოების წევრად, ხოლო წევრი ასაკით 14-დან 16 წლამდე შეიძლება მიღებულ იქნეს „სპარტაკის" საზოგადოებაში ამ საზოგადოების მომწყობ კომისიების მიერ.—„სპარტაკის" საზოგადოებაში წევრის მიღება უნდა სწარმოებდეს „სპარტაკის" საზოგადოების წესდების თანახმად.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. ნოემბრის „23"

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

მეე ცხოვრების ზედა პირს ანათებს
სტატისტიკა კი—მის შინაარს.
აღწერა დახახამია სტატისტიკისა!
ვინც თაყვანს სცემს ნათელს
ხელი შეუწყოს აღწერას!

ირემი თავის სახის დანახვაზე წყალში იხედება,
შეგნებული ადამიანი კი—სტატისტიკაში.
აღწერა მოგცემს შენი ცხოვრების სურათს
გინდა იცნო თავი შენი?
ხელი შეუწყე აღწერას!

სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერა

მოქალაქენო! ემზადეთ აღწერისათვის.

აღწერა გაგვიღებს სინათლის კარებს.

ნოემ 30 ბერი
აღწერის დღეა

აღწერის გარეშე შეუძლებელია გონივრული და მიზანშეწონილი მუშაობის წარმოება ჩვენი ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

მოქალაქენო! ესწრაფეთ აღწერისაკენ! ხელი შეუწყვეთ აღწერას.

არც ერთი ადამიანი არ უნდა დარჩეს აღწერის გარეშე.
არც ერთი კითხვა არ უნდა დარჩეს უპასუხოდ.

ღირსეული წევრი საზოგადოებისა მხოლოდ ის არის,
ვინც კარგად იცის სად რა აქვს საზოგადოებას და რა აკლია მას.
აღწერა დაგეხმარება ამაში.
შენც დაეხმარე მას.

ნუ შეუდგები მგზავრობას, თუ კარგათ არ იცი გზა.
აღწერა გაგიშუქებს შენ ს გაგ გზას
მაშ, ხელი შეუწყე აღწერას.

ს. ს. ს. რ. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო.

2—1

ამიერ-კავკას. ს. ს. რ. რკინის გზათა სამმართველო
აცხადებს

რომ 1922 წლის 10 დეკემბერს დღის 12 საათზე ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოში (ვოკზალის ქუჩა სახლი № 1) დანიშნულია წერილობითი

საჯარო ვაჭრობა

1923 წლის პირველ იანვრიდან იჯარით გასაცემათ:

პირველ კლასის ბუფეტების

შემდეგ სადგურებზე:
აქსტაფაში, განჯაში, ევლახში, უჯარში, კურდამირში, აჯიკაბულში, ბაქოს, ხაჩმასში,

მესამე კლასის ბუფეტების გასაცემათ

შემდეგ სადგურებზე:
ალოლში, აქსტაფაში, ტაუზში, ძეგამში, დალიარში, შამხორში, განჯაში, დელ-მამედში, ევლახში, ლისკში, კიურდამერში, სიგირში, აჯიკაბულში, ნავაგაში, ბალაჯარში, ბაქოს, ბაქო-საბუნჩინსკაიაში, საბუნჩიში, იალამაში, ყიზილბურუნში, ხაჩმასში, ხუდატში, სუმგაიტში, დივიჩში, კაიაკენტში, მამედ-კალაში მიუსიუმში.

სავაჭრო ფარდულების სადგურებზე:
აქსტაფაში, ტაუზში, ძეგამში, დალიარში, განჯაში №№ 1, 2, 3, 4, 5, 6 და 3—4, დელ-მამედლში, ევლახში №№ 1, 2 და 3, ლიაკიში, უჯარში, კიურდამირში, სიგირში, აჯიკაბულში №№ 1 და 2, ჩაიხანაში. ბაქო-საბუნჩინსკაიაში, საბუნჩიში, იალამაში, ხაჩმასში, შამხორში.

საპარიკმახეროების სადგურებზე:
აქსტაფაში, განჯაში, ევლახში, ბაქო-საბუნჩინსკაიაში, საბუნჩიში, ხაჩმასში.
იმ პირთ, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში, უნდა ქონდეთ ინ ბონ და თავიანთი განცხადებანი დახურულ კონვერტებით ჩაუშვან საბჭოს დარბაზის კარებთან მოწყობილ სპეციალურ ყუთში. კონვერტებზე უნდა იყოს წარწერა:

„ბუფეტების, ფარდულების და საპარიკმახეროების იჯარით გასაცემ საჯარო ვაჭრობისათვის".

ხოლო განცხადებაში უნდა იყოს აღნიშნული, სახელდობრ რომელ ამ წარმოების აღებას ფიქრობს მსურველი და რა საიჯარო ქირას იძლევა წლიურად ოქროს მანეთებით. განცხადებასთან უნდა იქნეს დართული;
1) ქვითარი განზრახული ქირის ერთ ნაწილზე 10 პროც. გირაოს შეტანის შესახებ. 2) წარმოდგენილ განცხადებებზე უნდა იქნას დაკრული სადერბო მარკა. იჯარით გაცემის დროს გზების სამმართველო იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებებში აღნიშნულ ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებით, რომელსაც მოითხოვს რკინის გზის მეურნეობის ინტერესები.
3) ის პირნი, რომელთაც იჯარით აქვთ აღებული ბუფეტები, ფარდულები, საპარიკმახეროები და რომელთაც სრულიად არ წარმოუდგენიათ საიჯარო გადასახადი ა | წ 1 დეკემბრამდე საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლებას კარგავენ.
ყოველგვარი ცნობები მიიღება ყოველ-დღე დილის 9—11 საათამდე, გარდა კვირა უქმეებისა, რკინის გზათა სამმართველოში. თბილისში (ვოკზალის ქ. № 1 ოთახი № 64).

5—1 საკომერციო ნაწილის უფროსი—თუხარელი.

საჯარო ვაჭრობა

ამიერ-კავკასიის ს. ს რესპუბლიკების რკინის გზის სამმართველო

აცხადებს

რომ 1922 წლის 5 დეკემბრის დღის 12 საათზე ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოში (ვოკზლის ქ. № 1) დანიშნულია წერილობითი

საჯარო ვაჭრობა

1923 წ. 1 იანვრიდან ქვემოდ ჩამოთვლილ წარმოებების იჯარით გასაცემად: 1 ვაგონ რესტორანისა,
3 ვაგონი ბუფეტი, 3 რველი კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებში: ბათომში, ჩაქვაში, სამტრედიაში, რიონში, ქუთაისში, შორაპანში, ქვათურაში, ხაშურში, ბორჯომში, ბორჯომ პარკში, მცხეთაში, ტფილისში, ნავთლუღში, გურჯაანში, სანდარაში:
მესამე კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებში: ბათომში, ჩაქვში, კობულეთში, ნატანებში, სუფსაში, ლანჩხუთში, სამტრედიაში, აბაშაში, ახალ სენაკში, რიონში, ზესტაფონში, ... მოლითში, ხაშურში, ბორჯომში, ბაკურიანში, ბოსლევში, ხკ... თაში, მცხეთაში, ავჭალაში, ტფილისში, ნავთლუღში, იორაში, საგარეჯოში, მელაანში, გურჯაანში, ვაზიანში, წინობის-წყალში, თელავში, ადტაგლაში, სანდარში, შულავერში, სადახლოში;
სავაჭრო ფარდულების შემდეგ სადგურებში: ჩაქვში, ჯუმათში, ლანჩხუთში, სამტრედიაში № 1, 2, 3, ახალ სენაკში, ფოთში, ... აბაში, რიონში № 1 და 2. ქუთაისში, ხოლილში, ვარში, ზესტაფონში, ქვათურაში, ძირულაში, ძ რელისში, მოლითში, წიფაში, ხაშურში, სურამთაში, ბორჯომში, ხარაგოულში, ქარელში, კასპში, ქსანკაში, ავჭალაში, ტფილისში, ნავთლუღში, საგარეჯოში, გურჯაანში, წინანდალში, ყარაიაზში, სანდარში, შულავერში, სადახლოში, ოდლიაუში, საჯავახოში, ციხის ძირში;
საპარიკმახეროების შემდეგ სადგურებში: ბათომში, სამტრედიაში. აბაშაში, ახალ-სენაკში, ფოთში, რიონში, ქუთაისში, ზესტაფონში, შორაპანში, ქვათურაში, საჩხერეში, ხაშურში, ბორჯომში, ტფილისში, გურჯაანში, სადახლოში და ბათუმის შესანახავი კაბინების სადგურ ნავთლუღში.
იმ პირებმა, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში, განცხადებები დახურულ კონვერტებში უნდა ჩასდონ საბჭოს დარბაზის კარებთან სპეციალურად გაკეთებულ ყუთში.
კონვერტებზე უნდა იყოს წარწერა: „საჯარო ვაჭრობისათვის ბუფეტების, ფარდულების და საპარიკმახეროების იჯარით ასაღებად". ხოლო განცხადებებში უნდა აღინიშნოს, თუ რომელი წარმოების აღება სურთ მთხოვნელს და რა ფასი აქვს განზრახული გადაიხადოს წლიური საიჯარო გადასახადისათვის ოქროთი.
განცხადებასთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი: 1) კვიტანცია გირაოს შეტანის შესახებ, რაც უნდა შეადგენდეს განზრახული ფასის ერთ ნაწილს 10 პროცენტისა, 2) შეტანილ განცხადებაზე უნდა იყოს სადერბო მარკა. იჯარით გაცემის დროს რკინის გზის გამგეობა იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებულ ფასებით, არამედ კიდევ სხვა მოსაზრებებით, რომელიც შეეხება რკინის გზის მეურნეობის ინტერესს. 3) ის პირნი, რომლებიც უნდა იღებენ იჯარით ბუფეტებს, ფარდულებს, საპარიკმახეროებს და არ შეიტანენ სავსებით საიჯარო გადასახადს მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე არ იქნებიან დაშვებული ვაჭრობაზე.
დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 9-დან 11 საათამდე დილით, უქმე დღეების გარდა; რკინის გზათა სამმართველოში, ტფილისში ვოკზლის ქ. № 1 ოთახი № 64).

4—1 კომერციული ნაწილის უფროსი: თუხარელი.

რიგი 1990

საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.